

# თეატრი

13

№ 32 საყოველ-კვირლო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი. № 32

10 აპრილი

გამომცემა ყოველ კვირარაობით

1896 წელსა.

ფასი (თეატრა)-სა წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მო-  
წერა არ მიიღება. ცალკე ნომერი (თეატრა)-სა ღირს სამი მანეთი. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში  
(თეატრა)-ს რედაქციაში: ანწრუნისკულ ქარვასლასში, № 110. და ქ. ფოთში ბენარიათ კალანდაძისთან.  
გარეულ მისამართთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію «Театръ.»

გაზეთი «თეატრი» პირველის ივლისიდან წლის დამლევაძე ღირს  
3 მანეთი.



## ცხოვრების თეატრი

გვაქვს, თუ არა, ქართველებს ვაჭრობის სერნი?—სა-  
ჭიროა, თუ არა,—ამ ხელობას ხელი მოკვიდო?—  
კიდევ რუსთაველზედ და არა ბ. მურიეზედ.—თუ ბ. მურიემ  
დაამცრო ჩვენი პოეტი, ბ. ანტ. ფურცელაძემ რომ ახალი  
ხარისხი გამოუძებნა.—

კვირა დღეა. მუშტაიდის გასავალითან უწინ-  
დელს დროს სრულიად უხვედრ ალაგს, დიდ-  
ხალი ხალხი ბუზანკალივით ირევა. ხელად  
აგებულ როტონდაში მუზიკა უკრავს და მუზი-  
კის წინ სკამეიკებზედაც ურიცხვი ხალხი სხედს.  
როტონდას ქვეშ განადებული ვაჭრობაა ღუ-  
დითა და სხვა საგრილობედ სასმელებით. ას-

ზედ მეტი ლაქია ნადდ ფულზედ ჭეიდულობს  
აქ, რასაც კი ვუბლივიდამ შემოუკვეთენ და მა-  
სუკან თავის ფულს ვუბლივას ართმევს. უერთა-  
გლეჯაა ბოთლებისა და სუტაქნებისა, მაგრამ მა-  
ინც სრული წესიერება სუფევს. ხალხში დადიან  
პუტარა ბიჭები და ჭეიდიან კრენდილებს, პაპი-  
როზებს და სვა-და-სხვა წვრილმან სანოვაგეს.  
მცველნი წესიერებისა კარებთან უსაქმოდ აუუ-  
დებულან და მათს თანამდებობას ასრულებს  
ერთი თეთრ-ქუდა კაცი, რომელიც მეიდნის შუბ  
სდგას და მთელსამ კოეხას ცერემონ-მეისტრობს.  
როტონდასთან კარგა მადლა გიმნასტიკაა  
აგებული და აქ მაშხალების სინათლეზედ პრო-  
წიალობენ უცხო-ქვეყნიდამ გადმოხვეწილი გიმ-  
ნასტიკორები. დგას ერთი საშინელი დრიანცე-  
ლი, ისმის ხმა-მადლა ლაპარაკი, უვირილი,  
ჭევირილი; —ერთის სიტყვით თვალ-წინ წარმო-  
გიდგებათ ხალხის სიმრავლით სცენა „მზის-და-  
ხელებიდან“ დიდუბის მინდორში, არა ისე, რო-  
გორც ჩვენს თეატრში არდგენენ ხოლმე სამ-ნახე-  
ვარი კაცის შემწეობით, რომელიც გადიან და გა-  
მოდიან სცენაზე, ვითომ და ხალხი ვართო, არა



მედ ისე, როგორც ეს ნამდვილად უნდა მომხდებოდა და როგორც ზ. ანტონოვის აქვს აწერილი.



ჩემგან წარმოდგენილი ადგილი განსაკუთრებით ბ. ლორთქიფანიძის „ტრამვაი“ და მისი თეატრული ცერემონი-მისტერი წევრი თბილისის ორკესტრისა ბ. ი. ბაქრაძე.

საანდაზოა წარსული ბ. ლორთქიფანიძის, საღაპარო საგნად გამხდარი მთელს ქალაქში მისი ხერხიანობა და საოცარი მისი ადებ-მიცემა ამ საერთო უფულობაში, ან „ქესატობაში“, როგორც ჩვენი ვაჭრები ამბობენ.

ამ გაცხ თავის „კარიერა“ დაუწყვია როგორც უბრალო მუშას, ცოტა ფული მოუგროვებია, ერთს მკორე ლუდის ზავადის შატრონს მიაძინაგებია, მასუკან ეს ზავადი მარტო თითონ უყიდნა და ამ ქამად შატრონია ამ ზავადისა და მთელი იმ ადგილისა, რომელშია ათას-ათასობით ფული ჩაუყრია და რომელზედაც უოველ-სადამოს აუარებელი ხალხი იყრის თავს. ხშირად, ძალიან ხშირად, იმოდენა ვაჭრობა მაქვსო, უთქვამს ბ. ლორთქიფანიძეს, რომ დამეში ას თუმანს ფულს მოგებას არ ვეტყვიო, და ვისაც კი ერთხელაც არის გაუფლია „ტრამვაიში“ ამას ტრამვაისობაში არ ჩამოართმევს. ბ. ლორთქიფანიძე აპირობს თურმე თავის ხარჯით ცხენის რკინის გზის გაყვანას იქიდან სადაც ვაგონები დგებიან მუშტიდთან თითონ „ტრამვაიმდე“ და ხალხის მუქთად ტარებას. ამასთანავე „ტრამვაის“ შატრონს თავის ვაჭრობის დედა-აზრად ის დაუდვია, რომ რაც კი შესაძლებელია საზოგადოებას თავაზიანად მოექცეს, რიგანი სასმელები აძლიოს და უოველივე მისი კანონიერი მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შეასრულოს.

აი ეს არის ნამდვილი ვაჭრობა და არა ოცდა ოთხი საათი თვლემითა და მთქნარებით დუქანში ლოდინი მუშტრისა, რომელიც ან უზღველი სიტყვით უნდა დააფთხო, ან უდმერთოდ მოატყუო წონაშია და ზომაშია.

ერთს გაზეთში იყო დაბეჭდილი, ვითომ ბ. ლორთქიფანიძე რუსული თეატრის გამართვას აპირობსო და გაზეთი ურჩევდა, კარგი იქნება ქართულიც თან მიაყოლოსო. მე გულწრფელად ვურჩევ ბ. ლორთქიფანიძეს რუსულ თეატრსაც თავი დაანებოს და ქართულსაც. შეიძლება

ამ საქმის დაწყებით თითონაც ადვილად იზარალოს და რომ ხელოვნებას დიდუბეში „თეატრის“ გამართვით ვერას მოიგებს—ეს ამკარაა. გვეყოფა ის ბალაგანებიც, რომელნიც მიხილის ქუჩაზედ ჩამწკრივებულან; ხელოვნებას ახალი შეურაცხება აღარ ეჭირება არც რუსულად და არც ქართულად.



ბ. ლორთქიფანიძე საბუთია იმისი, რომ ჩვენც შეგვძლება რამე იმისთანა საქმეში, რომელიც არას დროს ჩვენს ხელობად არ ითვლებოდა. რამდენსა აქვს ქალაქში ტრანტირები და და ლუდ-ხანები, მაგრამ არც ერთს არ მოსვლია თავში ამდენი ხანი იმისთანა აზრი, რა აზრიც მოსვლია ბ. ლორთქიფანიძეს. რასაკვირველია, უველა ქართველი ვერ ილორთქიფანიძეს და შეიძლება აჯობონ პირველისავე ნაბიჯის გადადგმაზე, მაგრამ ამის იმედი მაინცა გვაქვს, რომ თუ ამისთანა საქმეს მოვკიდებთ ხელს, გათელილს გზას არ დავადგებით, რომელსაც აღაპიანი ან გამოტვივებამდე მიჰყავს, ან გაავაკცებამდე და რომ საჭიროა ამ საქმეს ხელი მოვკიდოთ, ამზედ ცილობას, ვკონებ, არავინ დამიწყებს: მეცხრამეტე საუკუნეში ტელეგრაფებმა და რკინის გზებმა თითქმის სამზღვრები მოსპეს და დედამიწის მეორე მხარეს მოქცეული ხალხი დაგვიმეზობლეს. მეცნიერების ამ შედეგს არ შეიძლებოდა თან არ მოჰყოლოდა განმირებული ადებ-მიცემა და ადებ-მიმცემი ხალხი შეიქმნა თითქმის უველგან უფრო გამოსული, უფრო განვითარებული, უფრო წინ-წამწვევი თავის ხალხისა და თავის ქვეყნისა, და რომელი ხალხიც კიადებ-მიმცემი წოდებას არ შექმნის, იმას არ ექმნება ერთი უმთავრესი საშუალებათაგანი განათლების.



მაშ შემოძლიან თამამადა ვსთქვა, -სასიამოვნო იქნება, თუ კი ჩვენი ხალხი ამ ხელობას ისე აღარ არიდებს პირს, არამც თუ ვაჭრობაში, საჭიროა რომ უოველ ასპარეზზედ მუშაეს თავის ადგილი ჰქონდეს მიჩემებული და ერთგულად მუშაობდეს... რაკი დღეს ვაჭრობაზე ვლაპარაკობ, ბარემ ვიტყვი, რომ ჩვენ გვეჭირება მხნე, პატიოსანი, თავაზიანი ვაჭარი და ამასთანავე ისეთი, რომელმაც დროზედ შეჩერება იცოდეს და ოცნების გატაცებას არ მისდევდეს. უწინ ეს ხელობა



ჩვენს მოწინავე წოდებას სათავილოდ მიჩნდა, მაგრამ ეხლა ის დრო წავიდა. მაშინ უმებიცა ჰყვანდათ, ხიზნებიც, მამულიც ბევრი ჰქონდათ და მამაპაპურადაცა სცნობდნენ; ეხლა არც უმები ჰყავთ, ხიზნების საქმეც საეჭვოდ არის, მამულებიც შეუსუსტდათ და ცხოვრებაც ევროპიული მიმდინამეს. ევროპიულ ცხოვრებას საშუალება უნდა და ისა სჯობს ეს საშუალება პატიოსნური შრომით მოვიპოვოთ და არა მამაპაპეულ მამულის გაფლანგვით, რომლისაგ ანავითარი ზნეობრივი უფლება არა გვაქვს და რომლისათვისაც შთამომავლობის წინაშე პასუხის-გებაში უნდა ჩავცვივდეთ.



ძნელი მდგომარეობაა, როდესაც მკითხველს ერთსა და იმავე საგანზედ ორჯერ და სამჯერ ელაპარაკები და იცი, რომ იქნება თავიც შეაწყინო, მაგრამ რას იზამ? ხანდის-ხან გარემოება გაიძულებს და მოვალეობას ვერსად წაუტყავ. აი ეხლაც კიდევ რუსთაველზე უნდა ჩამოვაგდო ბასი, თუმცა წარსულს კვირას იგივე იყო საგანი ჩემის ღაპარაკისა. წარსულს კვირას შევეხე ბ. მურიეს „კრიტიკას“, ეხლა უნდა ვსთქვა რამე ბ. ანტ. ფურცელაძის ლეგენდის შესახებ, მაგრამ ორიოდ სიტყვას წავუძღვარებ ჩემს ღაპარაკს.

ზოგნი მეძღუერიან თურმე, რატომ მურიეს თხზულება საფუძვლიანად არ გაარჩიო. ერთხელ და სამუდამოდ გამომიცხადებია, რომ კრიტიკას და კრიტიკის-კრიტიკის-კრიტიკა ჩემი საქმე არ არის. მე მიწოდდა მხოლოდ მეჩვენებინა მკითხველებისათვის, — რა ცოდნისა და ლიტერატურული აღდგომის პატრონი ყოფილა ის კაცი, რომელიც დიდის პოეტის თხზულების გარჩევასა კისრულობს და მგონია, ეს შეძლებისამებრ შევასრულო.

ბ. ანტ. ფურცელაძე თავის თხზულებაში მოგვითხრობს ლეგენდას, ვითომ ცოლს ეძალატნოს რუსთაველისათვის და ეს უკანასკნელი ამ ამბის გამო ბერად შემდგარიყოს. დასაწყისში ავტორი ცდილობს აგვიხსნას, თუ ვინ იყო და რა იყო რუსთაველი და მოჰყავს აზრი სხვა-და-სხვა მწერლებისა. მასუკან იმ ლექსის საფუძველზედ, რომელიშიაც რუსთაველი ამბობს მე რუსთაველმა, ხელობით მომაირემ, მიჰყავ ხელი ლექსების წერასაო (მე რუსთაველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი) აი რა დასკვნა გამოჰყავს:

თვით რუსთაველი ორის სიტყვით ისწენებს თავის ვინაობას. «ვისწერ ვინმე შესნი, მეღვექსე მე რუსთავისა დაბისა.» და მეორეთგან «მე რუსთაველი ხელობითა.» ამ სიტყვებიდან გამოდის მხოლოდ ის ცნობა, რომ რუსთაველი ყოფილა შესნი, სოფელი რუსთაველამ და ხელობით ყოფილა რუსთაველი, რა ხელობა იყო ეს «რუსთაველობა» მნელა გამოსაცნობათ, რადგან «რუსთაველები» იყვნენ ამბოლოს ხანადის, დიდის ხნიდან ეპისკოპოსები, რომლებიც ისტინენ მარტყოფში; სხვა ხელობა რუსთაველებისა არც მწერლობით არც საქმით სიქართველოში არ სჩანს, თუ ვიფიქროთ, რომ ეპისკოპოზი იყო რუსთავისა, ეს შეუძლებელია, რადგან ეპისკოპოზი იმისთანა ლექსის წერას არ შეუდგებოდა, სადაც არის ამ გვარი აზრები: «მიბრძანეს მათა საქებრათ (თამარ-დედოფლის) თქმა ლექსებისა ტკბილისა», ან კიდევ; «მე რუსთაველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი, ვის მორჩილებს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი; დივუდღურდი მიქნურთათვის, კვლავ წამალი არსით არი, ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.» თქმა აღარ უნდა, რომ «გეფხვის ტყაოსნის» წერას დროს რომ ეპისკოპოზი ყოფილიყო, ვერავინ შეეგებებოდა საქებრათ ამ გვარი ლექსების წერას და შეტადრე როგორც ის კიდევ უმატებს: «ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე კბილისა;» და ამასთან არც თითონ დასწერდა იმისთანა რასმეს, სადაც თხოვლობს, რომ «ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი!» ცხადია, საშასდადმე, რომ ხელობა «რუსთაველობა» რომელსაც თავის-თავზედ რუსთაველი ამბობს, არ იყო სასულიერო ხელობა, და არც რუსთაველი იყო ეპისკოპოზი, ვეფხვის ტყაოსნის წერის დროს მინც.

თხუთმეტეტი გაოცების ნიშანი ვერ გამოხატავდა იმას რაც მე ვიგრძენ ამ ტირანდის წავითხვის შემდეგ. ეს რა ამბავია? მიწოდდა მკითხვნა ბ. ანტ. ფურცელაძისათვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ ამასვე იკითხავს თვით ბ. ფურცელაძე, როდესაც თავის ბროშურას წავიკითხავს. საქმე ის არის, რომ ეს ლეგენდა ავტორს ამ ოცის წლის წინად, ე. ი. მაშინ როცა ბ. ანტ. ფურცელაძის ნაწარმოებთ ჯერ ჭოჭინი ეჭირვებოდათ „ცისკარში“ ჰქონდა დაბეჭდილი და ეხლა აღბად რომელსამე ერთგულ მეგობარს გამოუძებნია და სიურპრიზად ცალკე დაუბეჭდია.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ჭკუათხელი მეგობარი მტერზედ უფროსაშიშიაო.“

სხვაფრივ ვერას გზით და ვერა საშუალებით ვერ ამიხსნია ესეთი მასხარად აგდება ღოგიკისაგ ენისაგ, და ლიტერატურისაგ.





სასცენო ხელოვნება

ბიბიკა

(გაგრძელება \*)

ჩვენი ბაასი მიმიკაზედ იკამდინ მივიდა, რომ შეგვიძლიან ესთქვათ: მიმიკა ყოველ შემთხვევაში უნდა იცვლებოდეს და სრულიად ეთანხმებოდეს ყოველის როლის მდგომარეობას; როდესაც ეს ქეშმარიტება აქტიორს შეგნებული ექნება, მაშინ მას სწორი მიმიკის ხმარება არ გაუჭირდება.

სანამ მიმიკის შესწავლაზედ ვიტყოდეთ რასმე, მინამ სჯობს თვითონ აქტიორის პირის-სახეზედ ესთქვათ რამე.

აქტიორის პირის სახე, ერთი ხუმარასი არ იყვეს. უნდა ემსგავსებოდეს ცოჲს ანუ წმინდა სამთელს, რათა სურვილისამებრ სხვა და სხვა მრავალ გეროვანი გამოხატულობანი მისცეს თავის პირის-სახეს. ესეთი გამოხატულობა, როგორც ვიცით, ხდება მიმიკის საშუალობით. მართალია, გრიმი დიდხ შეღავათს აძლევს აქტიორს, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ გრიმი უმიმიკოდ დავსგავსებოდა სურათს და არა ცხოველი აღმანიის სახეს.

საზოგადოდ აქტიორმა უწინარეს ყოველისა უნდა მოიფიქროს პირის-სახეზედ, ესეიგი, ეცადოს სახის მიმიკური მიმოძრაობა გაამდიდროს. ეს შრომა ისე ძნელი არ არის, როგორც პირველის შეხედვით გვეჩვენება. პირველად აქტიორმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს შუბლს, რადგან საზოგადოდ შუბლზედ ბევრი რამ იხატება; შუბლი და წარბები არიან აღმანიის სულიერის მდგომარეობის გამომსახველნი.

დაიდგით წინ სარკე და დაიწყეთ წარბების ხან აწევა და ხან დაწევა,—ხან შუბლი შეკუმუნვებით, ხან კიდევ გაშალეთ,—ერთის სიტყვით უნდა ეცადოთ, რომ შუბლი და წარბები დაჩეიოთ მრავალ ნიარს ცვლილებას: სურვილის და ნების დავგარად მიმოძრაობას. შემდეგ ამისა შეუდევით თვალებს: აქაც უნდა ეცადოთ, რომ თვალები ხან მრისხანეთ გადმოსტეკროდნენ, ხან ნაზად, ხან მოწყენით, ხან აღერსით და სხვა; ხოლო ამასთან ისიც უნდა იქონიოთ მხედველობაში, რომ თვალთა შუბლის და წარბებთა შორის აუცილებელი თანხმობა და თანაბრობა უნდა იყვეს. თუ თვალები სინარულს ჰხატავენ, შუბ-

(\*) იხილეთ „თეატრი“ № 31.

ლიც ამის მიხედვით გაშლილი, უდარდელი უნდა იყვეს და სხვა.... შემდეგ შეუდევით ტუჩებს;—ტუჩებს დიდი მნიშვნელობა აქვს გრძობათა გამოხატვაში. ტუჩებით შეიძლება ათასი ნიარი გრძობა გადმოიცეს.—ისე ვერაფერი გამოხატეს ირონიას, დაცინვას, ტანჯვას, გაჯავრებას, სასოწარკვეთილებას და სხვა მრავალ გრძობათ, როგორც ტუჩები; ამ შემთხვევაში ტუჩები აქტიორისავეის დაუფასებელი არის. პირის, ესე იგი, ტუჩების გიმნასტიკა, ვარჯიშობა ძრიელ ადვილია რადგან ტუჩები ბუნებითვე მეტის მეტად მოძრაენი არიან. საქიროა აგრეთვე ჯეროვანის ყურადღების მიქცევა ცხვირზედ, რადგან ისიც ტუჩებთან ერთან მონაწილეობას ლებულობს მიმიკურის მიმოძრაობაში.

როდესაც აქტიორს სახის მიმიკა, ანუ როგორც ამბობენ სახის ექსპერსია, გავარჯიშებული ექნება, მაშინ მას შეუძლიან თვით მიმიკის შესწავლას და ხელოვნურს განვითარებას შეუდგეს. აქტიორმა უეჭველად უნდა იცოდეს როლი და შეგნებული ჰქონდეს ტიპის ხასიათი და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს მიმიკის შესწავლას. დაჯექით დიდი სარკის წინ და დაიწყეთ როლის კითხვა. ამ კითხვის დროს ეცადეთ, ყოველს სიტყვის და წინადადების წარმოთქმის დროს სახესაც შესაფერი გამომეტყველობა მისცეთ—ესე იგი, თუ როლში მხიარული, სასიამოვნო ადგილებია და თვითონ როლის ხასიათიც მხიარულია, სახეც უნდა გაიმხიარულოთ, პირიქით თუ როლი მწუხარეა და სევდიანი, მაშინ სახეც მოისევდიანეთ, შუბლი და წარბები ოდნავ მოიღრუბლეთ, თვალები ერთს ალაგს შეაჩერეთ და სხვა; თუ როლი და მისი ხასიათი მრისხანეა, შეუდრკველის თვისების, სახეც ამის დავგარად მრისხანებით აღიქურვეთ, წარბები ძირს ჩამოუშვით, თვალები ფართოთ გაახილეთ, ტუჩები შეკუმშეთ და სხვა—ერთი სიტყვით მოიქცეთ ისე, როგორც თქვენი არტისტული გრძობა, ნიჭი და ხელოვნების ესტეტიკა გეტყვით.

ამისთანა შემთხვევაში დარიგება არ შეიძლება, რადგან ყოველს აქტიორს თავისი პიროვნული, სუბიექტიური, განსაკუთრებული ტემპერამენტი და ხასიათი აქვს, ამასთანავე სუბიექტიური ხმა და სახის ექსპერსიაც, რომელიც, რაც უნდა ხელოვნურად თამაშობდეს აქტიორი, უთუოდ გამოსტყუის მის თამაშობაში, უთუოდ თავის დადს დასდებს აქტიორისაგან წარმოდგენილს როლს. ვიმეორებთ რომ მიმიკის კანონების და წესების დასახელება არ შეიძლება. საქმე იმაშია, რომ აქტიორმა პირის-სახე მოა-



მზადოს მიმიკის მიმოძრაობისათვის, გამდიდროს თავის სახის ექსპერსია და ყოველ სცენაზედ გამოსვლის წინეთ სარკისწინ გაიმეოროს ის, რასაც აპირებს სცენაზედ წარმოდგენას. ეს აუცილებელია აქტიორისათვის და კანონდაც უნდა იქონიოს ყოველთვის.

ამასთან აქტიორს ესეც უნდა ახსოვდეს, რომ რამდენი როლია იმდენი სულ სხვა და სხვა მიმიკაც, თუ აქტიორი სრულიად კმაყოფილია თავისის მიმიკით, ეგ სრულიად საკმარისია, რომ სცენაზედ უშიშრად გამოვიდეს, რადგან მას საძირკველად აქვს შრომა და მეცადინეობა, რომლით მომზადებულია წარმოდგენისათვის. მაგრამ საქმე ამით მაინც არ თავდება.

რადგან გრიმი სრულებით სცელის სახეს და მამასადამე შესაძლებელიც არის, რომ გრიმა დაზეპირებული მიმიკა ან გაფუქოს ან არა და სრულებით სხვა ხასიათი მისცეს, მიმიკასამიტომ უეჭველად საჭიროა, აქტიორმა გრიმის შემდეგაც გაშინჯოს თავისი მიმიკა სარკის წინ, ერთის სიტყვით დაზეპირებული მიმიკები გაიმეოროს ხელ ახლად და—თუ გრიმშიაც გამოდგა მისი მიმიკა და თვითონ აქტიორიც კმაყოფილი დარჩა—მაშინ იმას შეუძლიან პირდაპირ სცენაზედ გავიდეს, თორემ ბევრი მაგალითები ყოფილა, როდესაც გრიმს მიმიკა სრულიად წაუხდენია.

ჩვენ წინააღმდეგ ვსთქვით და ვხლაც ვიმეორებთ, რომ მიმიკა უთუოდ უნდა შესწავლული იყოს აქტიორისაგან. ჩვენ ესეც ვსთქვით, რომ ზოგი აქტიორის პირის-სახე მიმიკურის მიმოძრაობისათვის მდიდარია, ზოგის კი ღარიბი, როგორც ერთმა, აგრეთვე მეორემ დიდი შრომა უნდა დასდონ, რადგან ორივე შემთხვევაში საქმეს გაკეთება უნდა. ჩვენ ესეც ვსთქვით, რა ადგილებს უნდა მეტი ყურადღება მიექციოს აქტიორმა, მაგალითად, შუბლი, წარბები, თვალები, პირი—ტუჩები, და ცხვირი. აქტიორის უფლებებშია, რომელს ამ დასახელებულეებში უფრო მეტს მოიხმარებს და გაივარჯიშებს. ხოლო ყოველი მათგანი თვითიულოდ და ყველა ერთან აქტიორისათვის მეტად საჭიროანი არიან.

ჩვენის აზრით უკეთესი საშუალება მიმიკის შეძენისა ის არის რომ აქტიორმა უწინარეს ყოვლისა უნდა შეისწავლოს, დაწვრილებით გაიცნოს საკუთარი პირის-სახის მიმოძრაობა—მიმიკა და ამის მიხედვით ეცადოს მიმიკის გამრავალ—გვარობას.

ჩვენ მიმიკას დიდის მნიშვნელობას ვაძლევთ, ასე რომ თუ მიმიკური მიმოძრაობა აქტიორს არ უყარგა, მაშინ სჯობია სრულებით თავი დაანებოს სცენას, რადგან ჯერ ერთი თვითონ დაიტანჯება მუღმივის სირცხვილით და მეორე, რაც უმთავრესია, მაყურებლებს დასტანჯავს, ჩვენ ისეთი მაგალითებიც

გვინახავს: ზოგიერთი დრამატული როლში, როდესაც ერთი მეორეზედ უმწარესი გრძობანი ზედზედ სჩქეფენ, აქტიორის სახე არაფერს გვეუბნებოდა, თითქოს უძრავი მარმარილო არისო, პირიქით ზოგჯერ, როდესაც როლი სრულიად მშველდე ხასიათისა, რომელიც არავითარს სახის მიმოძრაობას არ თხოულობს, აქტიორის მიმიკა ათასნაირად იცვლებოდა; ყველა ეს გვიმტკიცებს, რომ აქტიორს მმართველს დიდი დაკვირება, მრავალი შრომა ხელოვნურის თამაშობისათვის, როგორც ხმის ხმარებაში და ლაპარაკში, აგრეთვე მიმიკურის მიმოძრაობის თანდათანობითი განვითარებაში.

ჯერ-ჯერობით ამით ვათავებთ ჩვენს წერილს მიმიკაზედ. მართალია, აქ ჩვენ არ დავგისახელებია მიმიკის შესწავლის წესები, ასე რომ ვსთქვათ, მიმიკის თეორიები და არც შეიძლება მათი დასახელება, ხოლო ჩვენ, ვგონებთ, საქმოდ აღენიშნეთ მიმიკის მნიშვნელობა აქტიორისთვის სასცენო ხელოვნებაში.

ვალეო—ია.

## ხელოვნური პოეზია

სიყვარული,

18-374

ვის რა უნდა? მე ის მიყვარს,  
ვისც რომ გუღმა შეიყვარა!  
მე მიყვარს და მას ვუყვარვარ:  
სხვა რა მინდა, ეს არ გამარა?

განა კიდევ შეიძლება  
ამის მეტი სიყვარული?  
მე მეგუთვნის მისი გული,  
მას ეგუთვნის ჩემი სული.

რა ვუყოთ, რომ ღარიბი ვარ,  
რომ ჯიბე მაქვს ცაღიერი!  
მე ჩემს ბედსა არ ვებდური:  
მიყვარს—და ვარ ბედნიერი!

მაგრამ კაცი ბოროტია:  
ვიმტერებს, არ ვავახარებს,



ერთი წუთი სიამესაც  
ჩაგიშხამავს, ჩაგამწარებს.

ბორბოტ გაცხა ენა წადმა  
და უკუდმა უტრიალებს,  
წისქვილივით ბრუნავს იგი,  
გველივითა დასრიალებს.

ან მოგზიბლავს მეღის ენით,  
მოგატყუებს, მოგაფორებს,  
ან დაგიურის საზიზღ ჭორებს  
და მიწასთან გაგასწორებს.

მაგრამ ჩემთვის სულ ერთია—  
მტრებმა მაქონ, გინდ მაძაგონ...  
მხოლოდ იმას ვერიდები,  
მეგობრებმა არ დამზრანონ...

ვერიდები, მაგრამ შიშით  
არც ამისა მეშინია:  
დე სხვამ ანწლიათ ადიაროს,  
ოფონდ მქონდეს მე შინა!

დე დამზრანონ, დე მაძაგონ,  
მოუმატონ ჭორსა ჭორი,  
ოფონდ მქონდეს მე უვეფასთან  
გული წმიდა, შუბლი სწორი!

დე იჭორონ! ვინ დაამწყვდევეს,  
ვინ დაიჭერს, მითხარით, ქარს?  
მე გინდ მომკლან მაინც ვიტყვი:  
ვინც რომ მიუვარს—მიუვარს, მიუვარს!

უვეფას ხომ ვერ შევიუვარებ?  
ვის რა უნდა—მიუვარს ერთი,  
და სიუვარულს ვერ დამიშლის  
ვერც გაცი და ვერც თვით დმერთი!

სილოვან.

ქუთაისი. 31 ივლისს 1886 წ.

# მ ო თ ს რ ო ბ ა ნ ი

არაში ლუკმა კაცს არ უმერბება.

(გაგრძელება)

ბაზალჩუკის სიკვდილის შემდეგ ორმა წელიწადმა გაიარა. ღრუსკენის წყლებს ბევრი ხალხი ესტუმრა: ზოგი განსაკურნებლად, ზოგი ღროს გასატარებლად, გასათხოვარი ქალების პატრონნიც კიდე იმ სასიამოვნო იმედით, რომ აქ მდიდარ სასიძოვებს ჩაივლებდნენ ხელში.

მართს თბილს საღამოს ძურ-გოლუზენის ბაღკონ-ზედ რამდენიმე მდიდრულად მორთული ქალი ისხდნენ და ერთმანეთს ჭორიკანაობით და სხვა ამ გვარი სასიამოვნო ამბებით ართობდნენ.

— თქვენა ნახეთ დღეს უმშვენიერესი ბრაფინია ლატერისა? ჰკითხა მ—მ ტუმასკისამ თავის მსუქან მეზობელს.

— ბრაფინია ლატერისა? გამოჰკითხა სრულმა ქალმა მაზურკევიჩის ცოლმა, არა, მე ეგ ბედნიერება ჯერ არ მღირსებია; ბრაფინია მეტად იშვიათად ეჩვენება ჩვენს საზოგადოებას, იგი ამას მთელი დღეობით ცხენზე ჯდომას და თავის ნათესავ მფარველთან სეირნობას ამჯობინებს, თქვა ქალმა.— უკანასკნელი სიტყვები განგებ მაღლა წარმოთქვა ქალმა, რომ გავგონა მათზედ ცოტა მოშორებით მჯდომს ლამაზ ყმაწვილ კაცს.

— რა ავი ხართ ქალო! უთხრა მაღალ-მაღალმა ქალმა, რომელსაც თეთრი კისიის კაბა ეცვა.

— როგორთუ ავი? იმიტომ ხომ არა რომ ბრაფინიას მფარველი ვახსენე... თქვენმა მზემ, რომ კარგათა ექენ და სასახელოდ!... აბა, ბატონო, მიბრძანეთ, განა თქვენ კი იცით ვინაობა ამ მედიდურის ბატონისა, რომელიც განუშორებლივ, აჩრდილივით უკან დასდევს გრაფინიას?

— მსთქვათ—მეც არ ვიცი... მაინც ნებას არ მიესცემ ჩემს თავს წარმოვიდგინო, რომ ის... ოჰ, არასოდეს!

ამ გვარი საუბარი მშვენიერ სქესის წარმომადგენელთა დიდი ხანი გაგრძელდა და იქამდის შეაბეზრა ყმაწვილი კაცი, რომ მან დასტოვა თავისი ადგილი და ბალისაკენ გაეშურა.



— აგერ, ბატონო, თქვენმა ლაპარაკმა იქამდის გააჯაღრა ჩენი ახალგაზნა ექიმი, რომ თავი დავანება და ბაღში გაიქცა, წაიღულუნა გამხდარმა ქალმა და მრისხანედ შეხედა მსუქანს ქალს.

— თქვენ, ქალო, იმის „გაქცევა“ როგორღაც ქცევაში არ დაგიჯდათ, მიუგო მან,—მაგრამ დამშვიდდით—თქვენი მანიჩკა მისი ყურადღების ღირსი ვერ შეიქმნა.

ბამხდარი ქალი აენტო, სიკაპასე მოერივა; მარა დედამიწაზე დაანარცხა და ის იყო მსუქანი ქალის „გვირანად“ გამოლანძღვას აპირებდა, რომ ბაღის ბოლოს ცხენის ფეხის ხმა მოისმო და რამდენიმე წამს შემდეგ თითონ ცხენოსანი ქალიც გამოჩნდა, ამ ქალს გვერდით ვიღაც ხანში შესული კაცი მოსდევდა. ძაღვები გაჩუმდნენ, ყურები აცქვიტეს და დაუწყეს მათ ცქერა.

ცხენოსანი ქალი თავის კავალრით ძურ-გაუხუნის გვერდზე მყოფს სასტუმროში ჩამოხტა, ცხენი მეჯრი ნიბეს გადასცა და თითონ სახლში შევიდა.

— მეც თქვენი ზრახვინა და იმისი ნათესავი, გესლანად წამოიძახა გამხდარმა ქალმა: აგერ თქვენი სასურველი ექიმიც,—დაუმატა მან და მიუთითა ქალებს ბაღის კუთხეზე, სადაც ნეზლობინი დაფიქრებული, ჯოხით რაღაცსა ჰხაზავდა დედამიწაზე. თუ ეგ არ აქცევს ჩენს ქალებს ყურადღებას—სამაგიეროდ არც მეგას ავლებს რათმე ზრახვინა.

— რაკი თქვენი მანია არ გაიცნო, ეგ კიდევ იმას არ ჰწინანავს, რომ ჩვენს ქალებს ყურადღებას არ აქცევს,—დაირიხინა შეფ-თვალ-წარბა ტუმანსკისამ,—ჩემს პლექსანდრინას იმან წუხელის მთელი ნახევარი საათი ელაპარაკა და რამდენიმე კომპლიმენტიც უთხრა.

— კომპლიმენტი—მე ვიცი...

— ღიახ, კომპლიმენტი. მხლა ჩემზედ არის დამოკიდებული, რომ ნეზლობინმა უფრო საფუძვლიანად მოელაპარაკოს ჩემს ქალს.

— ბესმით, ქალებო, მადამ ტუმანსკისა თავის ქალის ქორწინის ფიქრს უკვე შესდგომია! ხა, ხა, ხა, ... მაგრამ არა მგონია, რომ ეგ ექიმი მართლა თვალსაჩინო საქრმო იყოს. პირველი იმიტომ, რომ მდიდარი არ არის...

— მდიდარი არ არის? რა ბრძანება! მაშ თქვენ არ გაგივიათ? მე ამ ექიმის შესახებ დავფერილებითა მაქვს ცნობები შეკრებილი. მს ყმაწვილი თურმე უზომოდ მდიდარია. შორს რათ წავეიდეთ, გუშინ მითხრეს, რომ ზრახვი ლედოხოვსკის მამული გაუსინჯავს და სყიდვასაც აპირებსო.

— რაო, ლედოხოვკა! იმაში ხომ სამას ათას მანეთზედ მეტს თხოულობენ!

მართალს ამბობთ... აბა აქედამ გასინჯეთ რამდიდარი უნდა იყოს ის ყმაწვილი.

შეუძლებელია!...

— რა დასაჯერია; უბრალო ექიმი და მაგოდენა ქონება!

— ღიახ, ღიახ!

— არა მჯერა!..

მს ქალები ისევ წინანდელივით აუმაღლაურებდნენ ლაპარაკს, რომ ზრახვინა ლატერისა არ გამოჩენილიყო სასტუმროს კარებში და ერთბაშით არ შეეკეცა მათთვის საუბრის სურვილი. ისენიც დასცხრნენ, დადუმდნენ და უცქეროდნენ ზრახვინას.

ზრახვინა ლატერისა, წამოსადეგი, ნარნარი შევეგრემანი, ოცდა ორის წლისა ქალი საუცხოვო რამ იყო თავის იშვიათის სილამაზით. მანსაკუთრებითი სიმშვენიერე გამოიხატებოდა მის მსხვილ, ცეცხლის მფრქვეველ თვალებში, ეს ქალი შინაურულად, უბრალოდ იცვამდა ტანთ, დრუსკენის საზოგადოებას არ უახლოვდებოდა. მთელს დღეს ხანში შესულ კაცთან ატარებდა, რომელიც მას უთავისოდ ერთს ნაბიჯზედაც არსად უშვებდა. სწორეთ ეს იყო მიზეზი სხვა-და-სხვა გვარის „წყლის საზოგადოებაში“ მოფენილის ქორისა.

მხოლოდ ნეზლობინისათვის შესცვალა ქალმა თავისი ქცევა: შეჰხვდა ერთ კონცერტში, გაიცნო და იმის შემდეგ ხშირად სეირნობდნენ ერთად. უბრალო ცნობილად სიყვარულამდე ერთი ნაბიჯიღა უკლდათ. ნეზლობინს უკვე უყვარდა და არც ზრახვინასა სძულდა ახალგაზნა ექიმი. დღითი დღე ნეზლობინი თან-და თან უფრო ღრმად სტოპავდა სიყვარულის მორევეში; საშინლად სწყინდა, როდესაც თავის ტრფობის საგანზე ქალების ქორს მოჰკრავდა ხოლმე ყურს. ბოლოს იქამდის მიადწივა, რომ გადაწყვიტა მოელაპარაკნა ამ ქალთან. ზრახვინა ძურ-გაუხუნს გასცილდა და პირდაპირ ბაღისაკენ გასწივა. ბაღში მას ნეზლობინი შეხვდა.

ახალგაზნდურათ გულ-გამოტენით, თავისუფლად დაიწყეს საუბარი. ნეზლობინმა სიტყვა ჩამოავდო ზრახვინას მუდმივ თანამოგზაურზე, და ცოტა უკლდა რომ მისი ჩვეულებრივი კილო გესლით გამსებულიყო.

— თუმცა თქვენ მე მაწყენინეთ მაგ ექვით, მაგრამ მე მაინც არ ესჯავრობ, მიპატივებია, რადგანაც მივხდი რა მიზეზითაც არ მოგწონთ ჩემი ქალირით მორთული კვალერი. დამშვიდდით იგი თქვენი მეტოქე არ არის...



— იქნება მართლა?! მაშ მითხარით, ბრაჭინია, ვინ არის ისა? თქვენი რა არის?

— მაგასაც მალე მოგვწერებით; ეხლა კი კმაყოფილი იყავით მით, რომ მე თქვენ ნებას გაძლევთ დამიახლოვდეთ და... იმედი იქონიოთ.

ნეზლობინის ბედნიერებას სამზღვარი არა ჰქონდა როდესაც ეს გაიგო იმ ქალისაგან, რომელიც ეხლა მის მეორე არსებას შეადგენდა და მთელს სამყაროს შეიცავდა.

— თუ ასეა—მაშ ნება მიბოძეთ ერთი რამე გსთხოვოთ.

— რა?

— ღღევანდელი ღღის სახსოვრად რომელიც უბედნიერესი ღღეა ჩემს სიცოცხლეში, უარს ნუ მეტყვი, მიიღეთ ეს ბეჭედი, რომელიც... ღღე ჩემის სიკვდილის შემდეგ სამკვიდროდ დამრჩა...

ამ სიტყვებთან ერთად ნეზლობინმა გამოიძრო ოქროს ბეჭედი ჩინებულის მარგალიტით.

— ოჰ, არა, არა! რა საჭიროა, მიუფო ბრაჭინიამ და ალის ფრად აინთო მასი სახე.

შმაწვილი თავისას არ იშლიდა, სთხოვდა უეჭველად მიეღო ეს ბეჭედი და ბრაჭინამაც, რადგანაც არ უნდოდა ეწყინებინა, გამოართვა და თითზე გაიკეთა. ამ დროს მოისმა ზარის ხმა, რომლითაც სტუმრებს სადილის საქმელად იწვევდნენ. ბრაჭინია გამოეთხოვა ნეზლობინს და ჭურ-გაუზენისკენ გაეშურა გზაში მას თავისი მუღმიე თანა მოგზაური უცდიდა. ძალი მიუახლოვდა მას და ეკიმის სახსოვარი აჩვენა.

— შინ მოგვცა ეგ ბეჭედი? ჰკითხა იმან.

— ეკიმმა ნეზლობინმა,—უპასუხა ბრაჭინიამ. რა გემართებთ, მამა! დაუმატა მან, როდესაც მამას საშინელი მღელვარება შეამჩნია.

— არაფერი!.. ბეჭედი აქ მომეც და შენ სასტუმროში წადი... მეც ეხლავ დაგვწვი.

რაკი მარტო დაიგულა გრაფმა თავი, მეტის-მეტე ყურადღებით დაუწყო ბეჭედს სინჯვა: იბოვა ფარული ღღი, დაჭირა ხელი და ბეჭედი ორად გაღინა... ბრაფმა ჰპოვა ის, რასაც მოელოდა: ბეჭდის შინა მხარეს მისი სახელი, გვარი და წელიწადი იყო ამოჭრილი.

— ოჰ, ჩემი ეჭვი! შეწყვირა მან. ბანა არა,—რალაცა ძალა მიზიდავდა ამ ბეჭდისაკენ, თვალს ვერ ეაშორებდი მას როდესაც სადილზედ ეკიმის პირდაპირ მომიხდებოდა ჯდომა. საშინელეზა... მანაც, ღღესავ, ეხლავ უნდა გამოაშკარავდეს ყოველივე!..

როდესაც ბრაფი სასტუმროში შევიდა, სტუმრებს უკვე თავი მოეყარათ. მართს კუთხეში

ჯგუფად ყმაწვილ კაცები შეკრებილიყვნენ და ლაპარაკობდნენ; ნეზლობინიც იქ იყო. ერთი ვილაც მოუთხრობდა დანარჩენებს, როგორ დაესხნენ მას ავაზაკები ამერიკაში მოგზაურობის დროს, და გაცარცევს.

— ჩვენში, მადლობაა ღმერთს, ამ გვარს თავგადასავალს ვერ გამოცდის კაცი დაუმატა მოამბემ, თუმცა სამზღვარგარეთ კი ჩვენს მხარეს ბარბაროზულ მხარეს ეძახიან...

— შ, მაგასაც ნუ იტყვი! გააწვევტინა ბრაფმა, ჩვენსაც ბევრი მაგაზედ უარესი ცარცვა და ავაზაკობა მომხდარა.

— მე იმ დროს, როდესაც ნეტარ ხსენებული წრუწუნა მეფობდა! შენიშნა გესლიანათ ნეზლობინმა.

— მაგისი რა მოგასხენოთ—ვინ ბრძანდებოდა ეგ თქვენგან ნეტარად „ხსენებული წრუწუნა“, როდისა მეფობდა ან რა ხდებოდა მის დროს, მაგრამ რაც პირად მე გამცარცევს მას შემდეგ სულ ათს წელიწადიც არ გასულა, წარმოსთქვა დინჯათ ბრაფმა და ნეზლობინს თვალი გაუჩერა.

— შექველად სადმე ციმბირის ხეე-ხუეში ან ნოლას ველზე,—განაგრძო ნეზლობინმა დაღინით.

— სცდებით, ბატონო, ციმბირის ღღე და ნოლას ველი თვალთაც არ მიხანავს. მე გამცარცევს აქვე, დინაბურლზედ ოცს ვერსზედ მოშორებით. თქვენ, ეკიმო, მგონი ღღის ხანსა სცხოვრებდით იქ?

ბრაფის უკანასკნელ სიტყვებზე ნეზლობინს ნაცრის ფერი გადაედო, თავიდან ფეხთამდე ქრიანტელმა დაუარა... გულში რალაც წასწყდა...

— ღიახ, ბატონებო, განაგრძო ბრაფმა თავისი მოთხრობა და თანაც ნეზლობინს თვალს არ აშორებდა. ნეზლობინი თავში დაკრულივით ერთს ადგლოს შეჩერებულიყო. ბატონებო ეს ის დრო იყო, როდესაც პოლმა აჯანყდა ე. ი. 1862 წ. სხკა-და-სხვა მიზეზების გამო, რომელნიც თქვენთვის საყურადღებო არ არის რომ მოგახსენოთ, მე თავი უნდა გამენებებინა ჩემის მამულისთვის, რომელიც დინაბურლის საპრობილოდამ ოცს ვერსზედ მდებარეობს. მეც შეეკრიბე ყოველივე ჩემი ნაღდი შეძლება—ბანკის ბილეთები ნახევარი მილიონისა, ძვირ-ფასი თვლები და ნივთები დაახლოვებით რომ მოგახსენოთ, ასე 200 ათასი მანეთისა—ჩავაწყე ჩამოდანში და ღღე გავედი ჩემის შშობელ სახლიდამ. მე ტყეზედ უნდა გამეღო. წინეთ ამ ტყეში ქურდობისა და ავაზაკობის გაგონაც არ ყოფილა. დაუახლოვდი თუ არა



იმ ადგილს, რასაც „წითელს ეკლესიას“ ეძახიან, ცხენები ერთბაშით შემოფთხნენ და გამიტაცეს, თითქმის ამავე დროც თოფიც გაეარდა და ჩემს მვეტილეს სწორეთ კეფაში მოჰხვდა. მე ეტლიდამ ვაღმობეტი და მოვემზადე თავის დასაცველად, მაგრამ მეორე ტყვიამ მეც სასიკვდილოთ დამკოდა და მიწას გამართხა. გონს რომ მოვედი დავინახე ღარიბი ქოხი, ღარიბი ქვეშაგები, რომელშიაც მე ვიწექ და ვილაცა კაცი, რომელიც მე მივიღიდა. ტყის ყარაულს შემეხვევით გამოველო იქით ცუდი მმდგომარეობაში ვენახე, წამოვეყიღნე ზურგზე და თავის სახლში მივეყვანე. ჩამოდინსა და ფულისა კვალიც აღარსად იყო...

ქურის მგდებელთ გაცოცებით ვადავლეს თვალი ერთი-მეორეს, — არ ესმოდათ რა ფიქრში მოუვიდა ბრავს, რომელსაც წინეთ უბრალოდ ხმაც არავისთვის შეეძრახა, ეხლა ამ საკვირველის და საშინელის მოთხრობის მბოზა.

— ჯერაც არ იცით ვინ იყვნენ ის ავაზაკები? — ჰკითხა ვილაცამ.

— ლემდის — ევრაინე აღმოვაჩინე, მიუგო ბრავმა და მიანიჩრდა ვაყვითლებულს ნეზლობინს, მაგრამ დღეს კი — მგონი რომ კვალს მივაგენ. ჩემს ძვირფას ნივთებში, რომელნიც ჩამოდანში მეწყენენ, ერთი სწორედ ამისთანა ბეჭედი იყო: ბრავმა აჩვენა მათ ნეზლობინის სახსოვარი რომელიც მან ბრავინას მისცა.

— რა გეშარტებათ, ექიმო? ჰკითხა ერთმა იქ მყოფმა, რა შეამჩნივა, რომ ნეზლობინი ფეხზედ ძლივსლა იმაგრებდა თავს და გული უღონდებოდა.

— თქვენა ჰკითხავთ, რა ეშარტება? — მაგას მე ეხლავ ავიხსნით.

— ლეთის გულისათვის, მამა ჩემო, შედეკით! შეჰკივლა ბრავინამ.

— ამის მამა! წარმოსთქვა ნეზლობინმა, თავზედ ხელეები მოიჭირა და გამოეარდა ზალიდამ... გათავდა! ყოველისფერი დაილუბა... სახელი ჩირქ მოცხებული, პათიოსნება დაწული... სიმდიდრე გაუქმებული... გული ვაგმირული... რაღა მჩება?

